საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. №32-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

შ.პ.ს „სეუ გრუპ დეველოპმენტ კომპანი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის აპრილში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. №32-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. №32-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს „ახალი საქალაქმშენპროექტი“-ს საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი მ. ყიფშიძე. მათ მიერ არის შესრულებული ლაბორატორიული გამოკვლევები თიხური გრუნტების თვისებებზე. ასევე შესრულდა გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევა. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, მათი გამოკვლევა ჩატარდა საქართველოს სამთო საქმის ინსტიტუტში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 10გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. მიწერილობა ---------- 1გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, სათანადო დასკვ------1გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 1 ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, 1 სართული პარკინგით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი, საერთო სიგრძით 56.0 მ. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა გრუნტის ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი
2. ფენა – 2 – თიხნარი
3. ფენა –3 – გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები
4. ფენა – 4 – ნაკლებად გამოფიტული არგილითები და ქვიშაქვები

ანგარიშში მოცემულია თითოეული ფენის დახასიათება (გარდა ნაყარისა) და მათი თვისებები. რაც შეეხება კლდოვან ქანებს, როგორც ავღნიშნეთ, მათი თვისებები განისაზღვრა გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გაიხსნა ყველა ჭაბურღილში 2.5-7.0 მ-ის ფარგლებში. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, პოლიტკოვსკაიას ქ. №32-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს მშენებლობის პროექტს საფუძვლად საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

პირადი მონაცემები

ჯოხონელიძე გუგა ილიას ძე – დაბ. – ქ. თბილისი, 1928 წლის 16 თებერვალი

უმაღლესი სასწავლებელი – 1. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა – 1950წ.

2. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამთო გელოგიური ფაკულტეტი, სპეციალობით ინჟინერ-გეოლოგი – 1972წ.

შრომითი საქმიანობა:

1950-58წწ. – საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის ინსტიტუტი – უმცრ. მეცნ. თანამშრომელი

1958-1976წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი – განყოფილების გამგე

1976-1987წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.

1976 წლიდან დღემდე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მოდულის ხელმძღვანელი

სამეცნიერო ხარისხი, წოდება –1. ტექნ. მეცნ. კანდიდატი – (1958წ.)

2. ტექნიკურ მეცნ.დოქტორის წოდება – (1974წ.)

3. პროფესორის წოდება – (1979წ. №00572)

4. საქ. საინჟ. აკადემიის აკადემიკოსი – (2000წ. №250)

ჯილდოები – 1. ღირსების მედალი №03455 – 2000წ.

2. საქართველოს დამსახურებული მშენებელი – №1/2937

საკონტაქტო მონაცემები – ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №10. ბინა 25

ტელ. 222-00-44 599-50-72-21

20.11.2016წ.

ინფორმაცია გუგა ჭოხონელიძის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში (2010-2015წწ.) შესრულებული სამუშაოების შესახებ:

1. „საინჟინრო ნაგებობები“ – სახელმძღვანელო მშენებლებისათვის – 2012წ.
2. სტატია – ქ. თბილისი კკელიძის ქ. №68-70-ში მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლთან, ფერდობზე წარმოშობილი კონტაქტური მეწყერის სტაბილიზაციის ღონისძიებანი. ჟურნალი „მშენებლობა“ №3(18) 2010წ.
3. სტატია – ლიოსისებური გრუნტების საწყისი ჩაჯდომადი წნევის განსაზღვრის შესახებ. სამთო ჟურნალი 2013წ. №1(30)
4. სტატია – დრეკადპლასტიკურ ფუძესთან უღთიერთქმედი ხისტი ტანის დატვირთვაზე გაანგარიშების და ტანის მზიდუნარიანობის განსაზღვრის დროს გამოყენებული დამატებითი მაგნატები და მათი მიღების ხერხები. ჟურნალი „მშენებლობა“ №4(18) 2014წ.
5. ანგარიშები ლუხუმჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები – 2012წ.

ასევე შესრულებულია საექსპერტო დასკვნები, რომლის უკანასკნელი ნაწილიც მოგვყავს ქვემოთ:

1. ქ. ბათუმში, ტაბიძის ქ. №19-ა-ს მიმდებარედ 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2015 წლის მაისი.
2. ქ. ბათუმში, გოგასლის ქ. 3159-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. 2015 წლის მაისი.
3. ქ. თბილისში, სოლოლაკში ახალგაზრდობის ხეივანში, 8 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის და მის მიმდებარე კოჯრის გზატკეცილთან შ.ჰ.ს

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол N 18)

Охонишвили Гурам Ивановичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზე, რომ იგი 1961 წელს შევიდა ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. „30" ივნისის გადაწყვეტილებით გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 168169

Настоящий диплом выдан Чахонелидзе Гуга Ильичу

в том, что он в 1961 году поступил в Груз. ордена Трудового Красного Знамени политехнический институт им. В.И. Ленина и в 1972 году окончил полный курс названного института

по специальности гидрогеология и инженерная геология

Решением Государственной экзаменационной комиссии от "30" июня 1972 г.

Чахонелидзе Г.И.

присвоена квалификация горного инженера-гидрогеолога

Председатель Государственной экзаменационной комиссии

М. П.

Город Тбилиси "2" апреля 1973 г.

Регистрационный № ГЕ-205

Московская типография Гознака. 1972